# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(„არჩევნების გამოცხადების და კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ“)

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, 2015 წლის 5 მარტიდან დაიწყოს რექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატთა რეგისტრაცია და რეგისტრაცია დასრულდეს 2015 წლის 12 მარტს;
2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების დღედ განისაზღვროს 2015 წლის 20 მარტი;
3. კანდიდატების რეგისტრაცია იწარმოებს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 2015 წლის 5 მარტიდან 2015 წლის 12 მარტის ჩათვლით, ყოველდღიურად, დილის 10 საათიდან საღამოს 17 საათამდე;
4. რექტორის თანამდებობის არჩევნებში რეგისტრაციისათვის კანდიდატმა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:
    - განცხადება;
    - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი;
    - ავტობიოგრაფია ან CV;
    - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი;
    - კანდიდატის სამოქმედო გეგმა;
    - 2 ფოტოსურათი ზომით 3X4.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო